საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№136 (6362) 13 ნოემბერი 1990 წელი სამშაბათი ფასი 3 კაპიკი

საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია

საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნება 1990 წლის 14 ნოემბერს 10 საათზე საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ღია წერილი ჩემს ლეჩხუმელ ხალხს

საქართველოში დღეს დიდი ისტორიული შემობრუნების უამია. უდიდესი ძალისხმევის შედეგად, ჩვენს სინამდვილეში პირველად ჩატარდა ჭეშმარიტად დემოკრატიულ საწყისებზე დამყარებული მრავალპარტიული არჩევნები. მიუხედავად ხანგრძლივი პერიოდისა, როდესაც საქართველოს ართმეული ჰქონდა ყოველგვარი თავისუფლება და სხვისი ნებით მოწყვეტილი იყო დემოკრატიულ სამყაროს, მისმა მოსახლეობამ მაინც შეინარჩუნა პოლიტიკური აქტიურობა და პოლიტიკური ნება, რომელიც თვალსაჩინოდ და ნათლად გამოავლინა ამ არჩევნებში. ქართველ ხალხს ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში პირველად მიეცა საშუალება გამოეხატა თავისი ნება, თვითონ აერჩია თავისი მომავალი.

მართლაც რომ გონიერია ქართველი ხალხი! მან უაღრესად დაძაბულ და მძიმე ვითარებაში გააკეთა ერთადერთი სწორი არჩევანი—უპირატესობა მიანიჭა ოპოზიციას პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ სახით. ამით გამოხატა თავისი სურვილი, რაც შეიძლება მალე განხორციელდეს საქართველოში დემოკრატიული, პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა და მძლავრი ეკონომიკის შექმნა.

ეს არის ქართველი ხალხის და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნების ხალხთა ნების გამოხატულება. ხალხმა ხმა მისცა მათ, ვისაც ენდობა, ვისიც სჯერა და იმედი აქვს, რომ საქართველოს უკეთესი მომავლისათვის მათ შეუძლიათ უკომპრომისო ბრძოლა და თავდადება.

ვულოცავ საქართველოს, მთელ ქართველ ხალხს და მათთან ერთად ლეჩხუმელებს არჩევნებში ეროვნული ძალების ამ დიდ გამარჯვებას.

ახლადარჩეული პარლამენტის გზა არ იქნება ია-ვარდით მოფენილი. მას მუშაობა მოუწევს უაღრესად მძიმე, წინააღმდეგობებით აღსავსე და დაძაბულ პირობებში, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, მთელი ქართველი ხალხის მხარდაჭერითა და თანადგომით განვთავისუფლდებით ძველი იდეოლოგიისაგან, ნაძალადევად თავსმოხვეული ცხოვრების წესისაგან და ისე, როგორც ცივილიზებულ და დიდ გონიერ ერს ეკადრება, დავადგებით დემოკრატიის, პროგრესისა და თავისუფლების გზას.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად არჩევასთან დაკავშირებით უღრმეს მადლობას მოვახსენებ მთელ ლეჩხუმელ ხალხს, ჩემს ნდობით აღჭურვილ პირებსა და მხარდამჭერებს. ყოველმხრივ ვეცდები ნანატრი მიზნისკენ მიმავალ ამ რთულ და მძიმე გზაზე გავუძლო ნებისმიერ მორალურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას და გავამართლო ის დიდი ნდობა, რომელიც გამომიცხადეთ. კიდევ ერთხელ გმადლობთ ჩემო თანამემამულენო; გისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს.

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი.

პატივისცემით

თამაზ ყურაშვილი,

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

გაიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე. სხდომამ განიხილა საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიქმნა სესიის მოსამზადებელი სხვადასხვა მიმართულების საკონსულტაციო ჯგუფები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ახლად არჩეული დეპუტატები.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჭითანავა, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.

გლეხური მეურნეობა

პირველი ნაბიჯები

თბილი და მშრალი დღე წამალივით სჭირდება მშრომელ კაცს რათა გულდადებულად დააბინაოს მოწეული მოსავალი.

ორბელი სახელგანთქმულია გამრჯე ადამიანებით. ამიტომაც ღონიერია სოფელი, სახელგანთქმული „ოჯალეშის“ მარანიც სწორედ ორბელია.

წელს ორბელის კოლმეურნეობა გლეხურ მეურნეობაზე გადავიდა. სოფლის სამეურნეო ხელმძღვანელებმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყველაზე ადრე აუღეს ალღო სიახლეს, სწორად გააანალიზეს, რომ კოლექტიური მეურნეობების დაშლა გარდუვალია. მაგრამ ეს პროცესი თვითდინებაზე როდი მიუშვეს, სათავეში ჩაუდგნენ, გამოყვეს საქმიანი და ობიექტური კომისია და გაანაწილეს სავარგულები. ბუნებრივია, მას ვისაც საკოლმეურნეო შრომის პირობებში მოვლილი ბალ-ვენახი, თუ ყანა ჰქონდა, წელს მოსავალიც უკეთესი ექნება და გახარებულიც დარჩება, მაგრამ ისიც, ვინც საკოლმეურნეო შრომაში ვერ „გამოიჩინა“ თავი, ამიერიდან მაქსიმუმს გააკეთებს. ამიტომაა გლეხური მეურნეობა ყველა ოჯახისათვის მისაღები. ბარაქა და დოვლათი ხომ მიწის მოვლამ და მასზე კანონიერმა საკუთრებამ იცის. ამის გარეშე არა ეშველება რა სილბოგამოლეულ კაცისგან დაცლილ სოფელს.

ორბელელები ახლა მოსავალს იწევენ. სიმინდის ყანები უკვე აიღეს, ჩალაც დააბინავეს.

ახლა რთველია სოფლად. 567 ტონა ყურძენი უნდა ჩააბარონ წელს სახელმწიფო მარანს. მევენახეები ტონობით ყურძენს აბარებენ და ანაზღაურებასაც კარგად იღებენ.

პარალელურად მიმდინარეობს თესლოვანი ხილის კრეფა-ჩაბარება.

ბარაქა თქვენს მარჯვენას

ცაგერის ღვინის ქარხნის 12 ნოემბრის მონაცემებით რაიონის ღვინის საწარმოებში სულ 1589 ტონა ყურძენია მიტანილი.

რაიონის ღვინის საწარმოებს შორის ყველაზე მეტი ყურძენი ორბელის ღვინის საწარმოს ჩაბარდა, სადაც გადასამუშავებლად მიტანილია 1094 ტონა ყურძენი, შარშან ამავე პერიოდში მიტანილი იყო 921 ტონა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ რეგიონის მევენახეებმა კარგად მოუარეს ზვრებს და ბარაქითაც გაიხარეს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩაბარებული ყურძნის უმეტესობა ოჯალეშის ჯიშისაა, რომელშიც გადიდებულ ანაზღაურებას იღებენ მევენახეები.

ზედმეტი არ იქნება თუ აქვე დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს, მათ, ვინც ყურძნის მოსავლის მაქსიმუმი სახელმწიფოს მიჰყიდა და ანაზღაურებითაც არ დარჩენილა უკმაყოფილო:

დადაში ლეშკაშელი ლაჯანელია, მისი ოჯახის ეკონომიკური ძლიერების წყარო ვაზია, მიმდინარე წელს გაუმართლა მუშაკაცს, ღვინის საწარმოს 2115 კილოგრამი ოჯალეშის ჯიშის ყურძენი მიჰყიდა და საზღაურად 400⁰ მანეთი მიიღო.

ვენედი მახარობლიძეც ლაჯანელია, მშრომელ კაცს ბარაქიანი რთველი ჰქონდა და ღვინის საწარმოს მისი შრომით მოწეული 1310 კილოგრამი ოჯალეში მიჰყიდა.

ყურძნის მოსავალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა **ბუჭუ დიმიტრის ძე მეგრელის** კარ-მიდამოში, რომლის სახელზე ღვინის საწარმოს 2340 კილოგრამი ოჯალეშის ჯიშის ყურძენი ჩაბარდა. 1880 კილოგრამი ოჯალეშის ჯიშის ყურძენი ჩააბარა კარ-მიდამოდან ორბელელმა **ანზორ გურგუჩიანმა** და შრომის საზღაურად 370⁰ მანეთი მიიღო.

გაწეული შრომით კმაყოფილი არიან და შემოდგომის ბარაქით გაიხარეს ასევე ლაჯანელმა **იური ნემსწვერიძემ**, რომელმაც სახელმწიფოს 136⁰ კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა, ორბელელი მუხრან ბურჯალიანის წვლილი 131⁰ კილოგრამია.

ბარაქა თქვენს მარჯვენას, მევენახეებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობა უკანასკნელი და... პირველი

მაშ ასე, სომხეთის ახალგაზრდობის ლენინურმა კომუნისტურმა კავშირმა შეწყვიტა ფუნქციონირება.

ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც გაიმართა სომხეთის კომკავშირის XXXI ყრილობა, რომელიც უკანასკნელი აღმოჩნდა ამ ორგანიზაციის ცხოვრებაში.

ქ. ერევნის ახალგაზრდობის სასახლეში ორ დღეს გრძელდებოდა მწვავე დებატები ახალგაზრდული ორგანიზაციის პრობლემების, მისი ამოცანებისა და პერსპექტივების შესახებ.

როგორი უნდა იყოს ახალგაზრდული ორგანიზაცია, და საერთოდ საჭიროა თუ არა იგი?

პასუხი ამ კითხვაზე ყრილობის მიერ გახლდათ დადებითი— საჭიროა, მაგრამ ეროვნული, განახლებული, მოქმედი, მაქსიმალურად დაახლოებული იმათთან, ვისი ინტერესებიც მან უნდა გამოხატოს.

ყრილობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მის მონაწილეთა ერთ ჯგუფს შეხვდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ლევ ტერ-პეტროსიანი.

პარლამენტის მეთაურმა აღნიშნა, რომ ბევრი ძველი სტრუქტურებიდან დღესაც მოქმედია, ამიტომ მათი ნგრევა არ არის აუცილებელი, საჭიროა მათი მუშაობის ეფექტური წარმართვა, გამომდინარე იმ მიზნებიდან, რომელიც რესპუბლიკამ თავის წინაშე დაისახა.

სომხეთის პრეზიდენტთან ახალგაზრდობის შეხვედრაზე საკმაოდ გულახდილი, მაგრამ გარკვეულად მწვავე აზრთა სხვადასხვაობის შემდეგ გამოიკვეთა პოზიცია, რომ დღევანდელ სიტუაციაში სწორი იქნებოდა შეიქმნას განახლებული, დამოუკიდებელი, ახალგაზრდული ორგანიზაცია, უფროსი ძმის ბრჭყალებისაგან თავისუფალი, და რომლის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ახალგაზრდობის ინტერესების დაცვა, სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში აქტიური მონაწილება.

ყრილობაზე მიღებულ იქნა განახლებული ახალგაზრდული ორგანიზაციის პროგრამა და წესდება.

სადაც აღნიშნულია, რომ სომხეთის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი შეიძლება შედიოდეს სხვა ორგანიზაციის შემადგენლობაში, რომლის პროგრამა და წესდება არ ეწინააღმდეგება კავშირის საპროგრამო მიზნებსა და ამოცანებს, ხოლო ახალგაზრდული კავშირი (პირობითად) როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია უმთავრეს მიზნად ისახავს სომხეთის დამოუკიდებელი, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის დღენიადაგ ზრუნვას, ეროვნული ინტერესების წინა პლანზე დაყენებითა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე დაყრდნობით ჭეშმარიტი სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის წარმართვისათვის მიზანდასახულ საქმიანობას.

ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით გადაწყდა, რომ ახალგაზრდულ ორგანიზაციას ეწოდოს სომხეთის ახალგაზრდობის კავშირი.

და ფორუმი დაწყებული, როგორც სომხეთის კომკავშირის XXXI ყრილობა, გაგრძელდა, როგორც სომხეთის ახალგაზრდობის კავშირის I ყრილობა.

ახალი კავშირი წარმოადგენს სომხეთის კომკავშირის ბაზის (უძრავ-მოძრავი ქონების) კანონიერ სრულუფლებიან მემკვიდრეს.

სომხეთის ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია 31 წლის ლევონ ელოიანი—(სომხეთის კომკავშირის ცკ-ის ერთ-ერთი მდივანი, ჭადრაკში საერთაშორისო ოსტატი).

ისტორიის ბორბალი წაღმა ბრუნავს და თუ დღეს ახალგაზრდობა ცდილობს განთავისუფლდეს ძველი ჩარჩოებიდან ე. ი. ეს ასეა საჭირო.

ხოლო კომკავშირი, ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობისადმი ინტერესი ფაქტიურად წარსულს ჩაბარდა. აი აქსიომა ჭეშმარიტებისა, რომელიც ისტორიული კანონზომიერებითაა განპირობებული.

გ. კვირიკაშვილი,
(პუბლიკაცია მომზადებულია საფოსტო ბიულეტენის „მოლოდიოჟნიე ექსპრესი“ 31 ოქტომბრის №44 მასალებიდან).



ჩელიაბინსკის ოლქი. სოფელ ბარანოვის ალორძინება დაისახა მიზნად 23-მა გლეხმა. ისინი გაერთიანდნენ სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატივ „ალტერნატივაში“, რომლის მიზანია ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდა ქიმიური საშუალებების გამოყენების გარეშე. უკვე შარშან ორჯერ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მიიღეს, ვიდრე იმ მეურნეობამ, რომლისგანაც მიწა აიღეს.

სურათზე: მიმდინარეობს სასილოსე მწვანე მასის დამზადება.

ყური მივაპყროთ მკითხველის წუხილს

სანამდე?

ახლახან ჩატარებულმა არჩევნებმა დაგვანახა, რომ ავირჩიეთ დემოკრატიის გზა, გზა, რომელმაც ქართველ ხალხს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა უნდა მოუტანოს. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები არ შეიძლება წარიმართოს განათლების სისტემის გვერდის ავლით. დღეს არავინ უარყოფს, რომ განათლების სისტემას გარდაქმნა სჭირდება, მაგრამ სადაო არც ის არის, რომ მასწავლებელს დაფასება და თანადგომა სჭირდება. მსოფლიოს არა თუ განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც კი არავის სჭირდება იმის შეხსენება, თუ რა დახმარება და შეღავათებია საჭირო მასწავლებლის მორალური თუ მატერიალური მხარდაჭერისათვის.

დღეს ისე, როგორც არასდროს, საჭიროა გაიზარდოს თითოეული ჩვენგანის ინიციატივა და პასუხისმგებლობა, რათა შევასრულოთ დაკისრებული მოვალეობა, ხელი შევუწყოთ განათლების მუშაკთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას, ცხოვრების დონის ამაღლებას. ამ მიმართებით ყურადღებას ითხოვს მასწავლებლებზე საზღვარგარეთული და სხვა დეფიციტური საქონლის მიღების საკითხი. 1988 წლის შემდეგ რაიონის სახალხო განათლების მუშაკებისთვის არ განაწილებულა მსუბუქი ავტომანქანა, მაშინ, როდესაც ჩვენი მასწავლებლების უმრავლესობას საცხოვრებელი ადგილიდან საკმაოდ შორ მანძილზე უწევს გაკვეთილების ჩატარება, არ გამოყოფილა აგრეთვე საზღვარგარეთული ავეჯი, ბოლო სამი წლის მანძილზე ბინა არ მიუღია განათლების სისტემის არცერთ მუშაკს.

მიუხედავად განათლების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რაიონული საბჭოს არაერთგზის მიმართვისა, რაისაბჭოს აღმასკომი და მისი შესაბამისი განყოფილებები კვლავაც გულგრილად ეკიდებიან მასწავლებელთა კომუნალური მომსახურების საკითხს.

1990 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო განათლების მუშაკთათვის ორი მნიშვნელოვანი განკარგულება: რომელთა თანახმად პედაგოგს უფლება აქვს სათბობის ნაცვლად მიიღოს ფულადი ანაზღაურება, ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებ განათლების სისტემის მუშაკებს კი უფასო კომუნალური მომსახურება უნდა გაეწიოს. მიუხედავად ამისა, დღემდე შესაბამისმა სამსახურმა (საგეგმო, საფინანსო განყოფილებები) ვერ იქნა და ვერ შეძლო აღნიშნული განკარგულებების განხორციელება, რისი ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მინისტრთა საბჭოდან მიღებული განკარგულებები უგულისყურო ბიუროკრატიული სამსახურის შედეგად დაიკარგა. სხვა რა ვუწოდოთ მასწავლებლის მიმართ ასეთ ქმედებას, მაშინ, როდესაც დღემდე ვერ მივაღწიეთ გაცნობოდნენ დადგენილებას „სოფლის მასწავლებელთა ბინების გათბობა-განათების ნორმების დადგენის შესახებ“, რომლის განხორციელებას რაიონის მასწავლებლები წლების მანძილზე მოვითხოვთ და რომლის მიხედვითაც მთიან რაიონში—ცაგერში მცხოვრებ განათლების მუშაკს გათბობისთვის ეკუთვნის არა 3, არამედ 10 კუბური მეტრი შეშა.

დრო მიდის. იცვლება ყოველივე, იცვლება ცხოვრების წესი და ნირი, ადამიანთა შეგნება. თვენახევარი ველოდეთ ჩვენს მიერ გაგზავნილი მიმართვის პასუხს. არავითარი პასუხი, გარდა სატელეფონო შეტყობინებისა, რომ საქმე დაეწერა მავანს და მავანს. არავითარი სათბობი მასალა ან ფულადი ანაზღაურება მასწავლებლებს არ მიუღიათ. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე, იქნებ ჯობს არ ვატყუებდეთ მასწავლებლებს, თორემ ვაითუ ცხოვრებაზე განაწყენებულმა თვითონაც იმდენი ტყუილი დათესოს, რომ სიმართლის მადლი მომავალმა თაობებმა ვერასოდეს ირწმუნონ.

იქნებ განათლების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რაიონულ კონფერენციაზე მაინც მობრძანდეთ და გვითხრათ—სათბობის გარეშე რატომ დატოვეს მასწავლებელი ამ სუსხიან დღეებში.

ზ. ბურჯანაძე,
განათლების, მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ცაგერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

ეკონომიკური მიმოხილვა

რატომ ძვირდება პროდუქტები?

საბაზრო ეკონომიკის ზღრუბლთან არ შევცოდავთ თუ გავიხსენებთ ჭეშმარიტებას, რომლითაც მსოფლიოს ყველა საქმიანი ადამიანი ხელმძღვანელობს: ყველაზე მტკიცე ვალუტა—ნდობაა, თუ ის გაგაჩნია, მაშინ ყოველგვარ გარიგებას შეძლებ. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, როცა ინფლაცია ერთდროულად შეეხო ჩვენს ეროვნულ ვალუტასაც, და იმასაც, რომელზედაც, როგორც რეზერვზე, იმედს ამყარებდნენ ბიზნესმენები?

ამ საკითხს აყენებს თამბაქოს ეპოპეის მიერ უამრავი ადამიანის გვარიანად აწეწილი ნერვების ფინალიც. დედაქალაქის მაღაზიებში, ფარდულებსა და ბუფეტებში ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა გამოჩნდა დიდი ხნის ნანატრი სიგარეტები და პაპიროსები, მაგრამ მათმა ფასებმა გვარიანად შეაფიქრიანა თამბაქოს მწეველები: ის 2-5-ჯერ გაიზარდა. კომერციული ფასია, ლაკონურად იმართლებენ თავს გამყიდველები.

საქონელი, როგორც ბაზებში ამბობენ, თავსაყრელია. გასაყიდად კი არ ჩანს. იმ ფასად, რომელიც დღემდე ამშვენებს მათ კოლოფებს, ახლაც არ ჩანს, ხოლო რამდენჯერმე მეტ ფასში—კომერციულში—მაშინვე გამოჩნდა.

და ყოველივე ეს რეგულირებად ბაზარზე გადასვლის ზღრუბლზე, როდესაც ბევრს ნერვები ისედაც უკიდურესობამდე აქვს დაძაბული, ადამიანებს კვლავ აღელვებს კითხვა—როგორ ამოქმედდება ახალ პირობებში სოციალური დაცვის მექანიზმები?

დავიხიოთ რამდენიმე თვით უკან და გავიხსენოთ პარლამენტის უკიდურესად გამწვავებული დებატები საკითხზე: შეიძლება თუ არა გამოვნახოთ სახსრები, რომლებიც საჭიროა, სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად, რიგ პროდუქტებზე, მათ შორის თამბაქოსა და ლუდზე ფასების მომატების მეშვეობით. სალი გაწჯის შემდეგ პარლამენტარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ასეთი სახის ფასების მომატება მიზანშეუწონელია.

და აი სუსტი წონასწორობა უხეშად ირღვევა მძიმე „კომერციული“ ფასებით. როგორც იტყვიან, უბედურება სიავით დაიწყო. ჩვენ უკვე წავაწყდით ამ ფასებს ალკოჰოლიან სასმელებში, თუმცა, როგორც ხაზგასმულია რუსეთის სფსრ სტატსახკომის ახლახანს გამოქვეყნებულ დოკუმენტში, რუსეთის მთავრობა ამ ფასებში მხოლოდ უცხოური მაგარი სასმელების გაყიდვაზე დაეთანხმა ისე რომ მწრომელთა გაძარცვის მიზნით ადგილი აქვს აშკარა თვითნებობას, რომლის მიმართ მიდრეკილებაც ჩვენში მეტად გავრცელებულია.

და მაინც როგორ მოვექცეთ თამბაქოს ფასს, რომელმაც ბევრისათვის მიუწვდომელ „კომერციულ მწეველებს“ მიაღწია? ხომ ყველასათვის ცხადია, რომ ახალ ფასებს ჭერი არ უჩანს, უახლოეს ხანში ხომ არ მოგვეწევს კოლოფი სიგარეტის აუქციონზე შეძენა? და კიდევ ერთი კითხვა არ მასვენებს: სიგარეტს მსგავსად, სხვა პროდუქტები და საქონელიც ხომ არ ელოდება საწყობებში „თავის დროს“, რომლებიც უკვე დიდი ხანია აღარ იყიდება?

რატომ არ არის ჩვენთვის დღემდე ცნობილი ახალი „კომერციული“ ფასების მამების სახელები? ვფიქრობთ, ბევრი გაეცნობოდა ინტერესით იმ რეზონებს, რომლებითაც ისინი ხელმძღვანელობენ. ახლა, როდესაც საზოგადოებას ასე ძლიერ სჭირდება კონსოლიდაცია, ხვალინდელი დღისადმი რწმენა, მილიონობით ადამიანს უფლება აქვს იმედი ჰქონდეს, რომ მას თვითნებობისაგან დაიცავენ.

ვ. გრიშჩენკო,
საქდესის მიმომხილველი.

გული სწყდებოდათ ძალიან. 28 ოქტომბერს საქართველოში არ იქნებოდნენ. მათი ხმები იკარგებოდა, როცა ვინ იცის, იქნებ ერთიც წყვეტდა საქმეს. პირველ მრავალპარტიულ არჩევნებს მათ გარეშე უნდა ჩაეარა, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო— მიწვევას ვერ გააუქმებდნენ. ხალხური ხელოვნების III საკავშირო ფესტივალზე საქართველო მხოლოდ ერთ კოლექტივს, ცაგერის ქალთა კამერულ გუნდს უნდა წარმოედგინა.

„თქვენ სიმშოლო ხართ საქართველოსი“

ამგავი იმისა, თუ როგორ გააოცეს

ჩვენმა ქალებმა მუსიკალური სამყარო

ცაგერის ქალთა კამერული გუნდი, იგივე ქალთა კაპელა, სულ რაღაც 1 წელია არსებობს. მასში 30-მდე ქალია გაერთიანებული—რაიონის პედაგოგები, კულტურის განყოფილების მუშაკები, ქვედა ცაგერის ბაგა-ბაღის აღმზრდელები, რამდენიმე მოსწავლეც კი. გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელია ქალბატონი რუსუდან ყურაშვილი, უნიჭიერესი მუსიკოსი, ხელოვნების ჩუმი და უტყვი მსახური, ყველა ცაგერელისათვის კარგად ცნობილი და საყვარელი პიროვნება.

ფესტივალს, რომელიც სარატოვის 400 წლისთავს ეძღვნებოდა, ეს ქალაქი მასპინძლობდა. მასში მონაწილეობდნენ რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატი თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები. გურჯაანში საგუნდო კოლექტივების დათვალიერებისას ცაგერის ქალთა კაპელამ დიდი მოწონება დაიმსახურა, ამიტომ საქართველოს კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტა საკავშირო ფესტივალზე ეს გუნდი გაეგზავნა.

სარატოვში 25 ოქტომბერს ჩაფრინდნენ. სამშობლოდან თან წაიღეს ქართული სუვენირები, დროშები, ფოტოალბომები: „შავლეგო“, „9 აპრილი“. ერთი პირობა შეფიქრიანდნენ კიდევაც—ვინ იცის, რა ვითარება დახვდებათ ამ რუსულ ქალაქში, როგორ შეხვდებიან საკავშირო ტელევიზიის დემაგოგიური გამოსვლებით დეზინფორმირებული ადამიანები? გამაოგნებელი აღმოჩნდა შეხვედრის პირველივე წუთები.—კეთილი იყოს თქვენი მობრძანება,—ტრადიციული პურმარილით ხელში, ქართულად მიესალმნენ ქართველ სტუმრებს რუსი ქალიშვილები. მერე სასტუმრომდე დამტვრეული ქართულით უხსნიდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ ფესტივალის დღეებში. შეხვედრა ძალიან გულთბილი იყო.

მთელი დღე რეპეტიციებს დაეთმო. სარატოვის კონსერვატორიის დიდი დარბაზი მასპინძლობდა ბელორუსიის, მოლდავას, უკრაინის, საქართველოს თვითმოქმედ კოლექტივებს.—რეპეტიციების დროს გვითხრეს ბელორუსებმა და მოლდაველებმა,—გვიამბობს ცაგერის ქალთა კამერული გუნდის ერთ-ერთი წევრი, რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ქალბატონი სულიკო ყურაშვილი,—ძალიან ძლიერები ყოფილხართ, არ ვიცით, თქვენს მერე ჩვენ როგორღა უნდა გავბედოთ სცენაზე გამოსვლაო. ყველას პროფესიონალი მუსიკოსები ვეგონეთ. გაოცებული იყვნენ, აგვიხსენით რამდენ ხმაში მღერიხართო, მერედა, როგორ ახერხებს თქვენი დირიჟორი 8 ხმაში ამღეროს გუნდიო.

რუსუდან ყურაშვილი, გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი: ძალიან ძლიერი კოლექტივები იყვნენ, როცა ჩვენი შთაბეჭდილება გავუზიარეთ, ღმერთო, რა თავმდაბლები ხართო...

იმავე საღამოს საზეიმოდ გაიხსნა ფესტივალი. კულტურის სასახლეში ზღვა ხალხი მოვიდა. გახსნამდე თითო ნომრით უნდა წარედგინათ მონაწილეებს თავიანთი თავი. ცაგერის ქალთა გუნდმა ამგვარ სავიზიტო ბარათად „შავლეგო“ აირჩია. დარბაზში, სადაც ჩვენი ქალები ისხდნენ, ჯერ ქართველთა სამფეროვანი დროშა აფრიალდა, მერე ამ დროშის მპყრობელი სოლისტი გულნაზ გოლეთიანი წამოდგა და „შავლეგოს“ პირველი ჰანგები დაირხა რუსულ დარბაზში.

გულნაზ გოლეთიანი:—სცენაზე საერთოდ არ ეღელავ. აქ რა დამემართა, არ ვიცი. ერთიანად ავკანკალდი. დროშა როგორღაც გვერდზე გადამეხარა. ჩვენს უკან უკრაინელთა დელეგაციაც იჯდა. ერთი მამაკაცი წამოდგა, დროშას ხელი შეაშველა, და უფრო მაღლაც ამაწევინა...

აღტაცებული დარბაზი ბობოქრობდა, ოვაციები დიდხანს არ დამცხრალა. მაყურებელმა კარგად მიიღო ჩვენი „შავლეგო“, მაგრამ ხომ გაგიგიათ, „ავსა კაცსა ავი სიტყვა, ურჩევნია სულსა, გულსა“. ერთი მაინც გამოჩნდა.

მაკა ბენდელიანი—ჟიურის ერთ-ერთი წევრი, მხატვარი იყო. მგონი, მოვიდა მეორე დღეს. თქვენს გარდა ანტისაბჭოური დროშა ვინ ააფრიალო, რა აუცილებელი იყოო, ჩვენ, ჟიურის უნდა გვცოდნოდა, რას იმღერებდითო.. საერთოდ კი დიდებული ხალხი იყო, მოწიწებით გვექცეოდნენ. აღტაცებულებმა ქალბატონ რუსუდანს ხელები დაუკოცნეს. მერე ფოიეში შემოგვეხვივნენ. თბილისი, სულიკო—გაიძახოდნენ, ჩვენც ავდექით და ვიმღერეთ „სულიკო“. ყველა მღეროდა ჩვენთან ერთად.

26 ოქტომბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩაიკოვსკის საღამო-კონცერტი გაიმართა, რომელიც კომპოზიტორის დაბადების 150 წლისთავს მიეძღვნა. ჩვენმა ქალებმა ორი ნომერი წარმოადგინეს: რუსუდან ყურაშვილის მიერ გადამუშავებული პ. ჩაიკოვსკის „თოჯინას დასაფლავება“ და ქართული ხალხური „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“. „თოჯინას დასაფლავების ჩვენეული ინტერპრეტაცია ძალიან მოწონებიათ მუსიკოსებს და მუსიკის მოყვარულებს. ამიტომ 27 ოქტომბერს, როცა საკონკურსო დათვალიერება მიმდინარეობდა, ჩვენს გუნდს უკვე ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მას კარგად იცნობდნენ მსმენელებიც და ფესტივალის სტუმრებიც. და როცა გამოცხადდა გუნდის გამოსვლა, ტაშითა და ოვაციებით ააცილეს ჩვენი ქალები სცენაზე.

გუნდმა საკონკურსოდ ხუთი ნომერი შეასრულა: ბეგლარიშვილის „ზამთარი“ და „მზეო, ამოდი“, ძველი ქართული საგალობელი „წმინდაო-ღმერთო“, „შავლეგო“, უკრაინული ხალხური სიმღერა „ტყის ახლოს“. ამ ნაწარმოებებში ისე ჩანდა ქართული სული, როგორც სარკეში და აღტაცებულმა მსმენელმა ყვავილებით აავსო სცენა.

რუსუდან ყურაშვილი—ჩვენი გუნდის გამოსვლის შემდეგ გამოცხადდა შესვენება და უნდა გენახათ, რა ხდებოდა ფოიეში, ყველა ჩვენ შემოგვეხვია. ფრანგებმა ნოტები გვთხოვეს, რაც გვქონდა მივეცით, განსაკუთრებით „შავლეგო“ მოეწონათ თურმე. „სულიკო“ გვამღერეს, ისინიც აგვყვნენ, ჩვენთან ერთად მღეროდნენ.

სუვენირები, ფოტოალბომები გავაჩუქეთ, ბევრს გაეგონა და იცოდა 9 აპრილის და მერაბ კოსტავას შესახებ.

სულიკო ყურაშვილი —მონაწილენი მორიდებით გვეუბნებოდნენ—ნეტავი თქვენ ბოლოს გამოსულიყავით, ახლა ჩვენ როგორღა ავალთ სცენაზეო. ჟიურის წევრებმა—საქართველოში ასეთი კოლექტივი არ გვეგულებოდა, მით უმეტეს, რაიონშიო. ვერ დაგვიჯერებია, თუ ეს ერთი წლის ნამუშევარია, 5 წლის შემდეგ რაღა იქნებაო. ყველაზე უმცროსი მონაწილე 14 წლის იყო ჩვენთან, ამაზეც გაგიკვირდნენ, თქვენ რა ხალხი ხართო (გუნდში 5 მოსწავლე მღერის: ნატო მიქაძე, მაია ირემაძე, მაკა მურცხვალაძე, ნათია კალანდაძე, მაკა ხეცურიანი).

ერთი სიტყვით, ცაგერის ქალთა კამერულმა გუნდმა ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა უმაღლესი დონის ფესტივალში. მონაწილეებს შორის იყვნენ 10 წელზე მეტი ისტორიის მქონე აკადემიური კოლექტივები, რომელთაც კომპოზიტორები, პროფესორები, ჩინოსან-ჯილდოსანი ხალხი ხელმძღვანელობდა. ფესტივალში მონაწილეობდა აგრეთვე ბორდოს გუნდი „მადრიგალი“—მრავალი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი საფრანგეთიდან. აი, ასეთი ფესტივალის — „ომედის“ სპეციალური პრიზის ლაურეატი გახდა ცაგერის ქალთა გუნდი, იგი დაჯილდოვდა მუსიკალური საზოგადოების დიპლომით, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელს რუსუდან ყურაშვილს გადაეცა სსრკავშირის კულტურის სამინისტროს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის ოქროს მედალი „მხატვრულ თვითშემოქმედებაში მიღწევებისათვის“.

ახლა ისევ გუნდის წევრებს მოვუსმინოთ:

გულნაზ გოლეთიანი: ჩემს სიცოცხლეში ასე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. ეს საოცარი გრძნობა იყო. ამდენ ჩინოსან ხალხში ჩვენი სამხატვრო ხელმძღვანელი ბრწყინავდა. ძალიან მიხარია, რომ სამშობლო ვასახელეთ.

რუსუდან ყურაშვილი: წასვლამდე ზოგიერთმა ისიც კი გაგვაგონა, რა ემღერებათ ახლა და ისიც რუსეთშიო. მე მგონი, ჩვენმა წასვლამ დიდი საქმე გააკეთა. ჩვენ ეს შეგვეძლო და ერი არ შეგვირცხვენია, პირიქით. უკვე მივიღეთ მიწვევა მოლდოვას დელეგაციისაგან, ფრანგები კი გვთხოვენ, რომ აუცილებლად გავაცნოთ ჩვენი ხელოვნება საფრანგეთს.

სულიკო ყურაშვილი: ფესტივალის დღეებში ძმებივით გვიდგნენ მხარში ბელორუსიის, მოლდოვასა და უკრაინის კოლექტივები. მათ მხარდაჭერას ყველგან ვგრძნობდით, სცენაზეც, დარბაზშიც, ქუჩაშიც. ქუჩაში ხშირად გვაჩერებდნენ, ადამიანები გვცნობდნენ, გვიღიმოდნენ, თუმცა ისეთებიც იყვნენ, ვისაც ქართველის სახელის ხსენება აშკარად არ სიამოვნებდა...

ერთ-ერთ ქარხანაში მიგვიწვიეს. კონცერტი ჩავატარეთ. შრომით კოლექტივთან, ინტერნაციონალისტურ ინტერნაციონალთან. ვიცეკვეთ, ისინიც ვაცეკვეთ.

დასკვნითი საღამო კულტურის სასახლეში გაიმართა. ისევ ლ. ბეგლარიშვილის „მზეო, ამოდი“ და „შავლეგო“ შეავსრულეთ. ჯილდოები, ფასიანი საჩუქრები გადმოგვცეს (სამოვარი, ბროლის ლარნაკი წარწერებით). ფოიეში მოლდოველები და უკრაინელები შემოგვეხვივნენ. „შატილის ვარსკვლავი“ ვიმღერეთ: ყველანი ვაცეკვეთ. საოცარი ის იყო, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები როგორ კოხტად, ლამაზად ასრულებდნენ ქართულ საცეკვაო ილეთებს. ეს დაუვიწყარი საღამო იყო.

რუსუდან ყურაშვილი: სარატოვის ტელევიზიის რეჟისორმა მოგვილოცა წარმატება, „შავლეგოს“ სოლისტ-შემსრულებელს გულნაზ გოლეთიანს კი ასე უთხრა: თქვენ ამ სიმღერით საქართველო წარმოადგინეთ, თქვენ საქართველოს სიმბოლო ხართ. მარტო ამ სიმღერის შექმნისათვის ეკუთვნის თქვენს ხალხს თავისუფლებაო. თუმცა ყველაფერ ამაზე უკეთესად მოგითხრობთ ვიდეოჩანაწერი, რომელსაც მალე იხილავს ქართველი ტელემაყურებელი.

ფესტივალი დამთავრდა. სამშობლოში დაბრუნდნენ. ტრიუმფატორები სიხარულს ვერ ფარავენ, მაგრამ გული მაინც სტკივათ. რატომ?

—კოლექტივი არაპროფესიონალებისაგან შედგება. ეს ადამიანები სამუშაოსაგან თავისუფალ დროს მოდიან რეპეტიციაზე. სამუშაო საათებში, რა თქმა უნდა, ჭირს თავშეყრა. ამიტომ მუშაობის პირობები ძალიან ცუდია. მეტი გულისხმიერებაა საჭირო ორგანიზაცია-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისაგან. ეს რომ პროფესიული გუნდი იყოს, წარმოიდგინეთ, რა საოცრებას დაატრიალებდა ქალბატონ რუსუდან ყურაშვილის ჯადოსნური ნიჯი. ახლა კი ეს ჩუმი ქალი იმაზე წუხს: ნეტა გამარჯვების აღსანიშნავად, ამდენი შრომის ფასად ჯილდოდ 30 მანეთი მაინც მიგვაცემინა თითოეულისათვის, იქნება სამომავლოდ მეტი დაინტერესება იყოს და მუშაობა გაგვიადვილდესო. ვგონებ, ამ მცირე სურვილის შესრულება რაიონს არ უნდა გაუჭირდეს. მით უფრო, რომ გუნდის წარმატება-წარუმატებლობა ჩვენი პრესტიჟის საქმეც უნდა იყოს. ამჯერად კი გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი მადლობას უხდის ყველას, ვინც მცირედი წვლილი მაინც გაიღო და დაეხმარა გუნდს: დ. კოპალიანს, ს. კოპალიანს, გ. ბრეგვაძეს, განსაკუთრებით კი კულტურის სამინისტროს თანამშრომელს ქალბატონ დოდო თაქთაქიშვილს.

ია ხმელიძე.

ხელის მტევანი მიაკერეს

წრიული ხერხით მარცხის შემდეგ ზუსტად ერთ დღე-ღამეს ბელგრადის სასწრაფო დახმარების ცენტრში ოპერაციის დაწყებამდე უხელისმტევნოდ იყო 50 წლის იუგოსლავი ა. სტოიანოვიჩი. საავადმყოფოში ყოფნის შემდეგ, იგი კვლავ ამოძრავებს თითებს და ხელში მსუბუქი ნივთების დაკავებაც შეუძლია.

...სოფელ ბაბუშნიცეში მცხოვრებ სტოიანოვიჩს უბედურება მაშინ შეემთხვა, როცა გადაწყვიტა შეშა დაეჭრა მაყალისათვის.

დაძლია რა ტკივილი, მან აიღო გვერდით დავარდნილი ხელის მტევანი და დახმარებისათვის მეზობლებს მიმართა. მათ ის სასწრაფოდ რაიონის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ადგილობრივმა ქირურგმა მხოლოდ ხელები გაასავსავა. მაშინ სტოიანოვიჩმა მოითხოვა მოჭრილი ხელი ყინულის კომპრესში შეეხვიათ და „სასწრაფო დახმარებისათვის“ ბელგრადში წაეყვანათ.

სოფელი კაცის დაყინებულობამ და ადგილობრივი ექიმების კვალიფიციურმა მოქმედებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ბელგრადის სასწრაფო დახმარების ცენტრის ახალგაზრდა ქირურგთა ჯგუფმა, რომლებიც დასპეციალებული იყვნენ მსგავს ოპერაციებზე, ოპტიმისტურად შეაფასა სტოიანოვიჩის შანსი და მას მოჭრილი ხელი მიაკერა. ოპერაციის შემდეგ განახლდა სისხლის მიმოქცევა, გაცოცხლება დაიწყო ქსოვილებმა. სამი კვირის შემდეგ კი პაციენტი საავადმყოფოდან გამოწერეს.

(საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ

ლალი გრიშას ასულ თუთისანს
ხვიჩა გრიშას ძე ბენდელიანს
ციცინო ჭიჭიკოს ასულ კვეზეტაძეს
ედიშერ ვანოს ძე სილაგაძეს

გილოცავთ შვილების შეძენას. ღმერთმა გაგიზარდოთ და გიბედნიეროთ. დალოცვილ იყოს მათი ცხოვრების გზა.

მალედი, კარლო, სოსო ბენდელიანები.

იზო შოთას ასულ ჩაკვეტაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სულის სიმშვიდეს, ულევ სიხარულს და ყოველივე კარგს ცხოვრებაში.

ლაჯანის საავადმყოფოს თანამშრომლები.

რუსუდან ყურაშვილს!

გილოცავთ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის ოქროს მედლითა და დიპლომით, ხალხური თვითმოქმედების საკავშირო ფესტივალის დიპლომით დაჯილდოებას, ფესტივალის სპეციალური პრიზის „იმედის" ლაურეატის წოდების მინიჭებას.

ძაძუ ახვლედიანი, ლამარა ბერიძე, ქეთინო ლიპარტელიანი, შოთა ახვლედიანი, რუბენ გოგიძე.

ნუნუ შალვას ასულ ჯიაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს. სიხარული და ღიმილი ნუ მოგაკლებოდეს მთელი ცხოვრების მანძილზე.

ადგილმრეწველობის კომბინატის აპარატის თანამშრომლები.

მერი, გურამ ბერიძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ნამდვილ ქართველ ქალად. ბედნიერი ყოფილიყოს მისი ცხოვრების გზა.

კაკო, ნანი ჩარკვიანები, ამირან ჩახულიანი, ჭიჭიკო კოპალიანი, სამსონ ყურაშვილი.

ჩვენო მკითხველო

თუ გნებავთ შეიტყოთ, საქართველოში რა ხდება და რატომ ხდება,—გამოიწერეთ გაზეთი
„ლიტერატურული საქართველო"!

თუ გნებავთ წაიკითხოთ ახალი ლექსი და ახალი მოთხრობა—გამოიწერეთ გაზეთი
„ლიტერატურული საქართველო"!

თუ გნებავთ შეიტყოთ, რას ფიქრობს ქართველი მწერალი ჩვენი ქვეყნის წარსულსა და მომავალზე—გამოიწერეთ გაზეთი
„ლიტერატურული საქართველო"!

გწამდეთ, ვინც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" ამოუდგა მხარში, იგი საქართველოს სადარაჯოზე დადგა. ლიტერატურული საქართველო, ეს ხომ სრულიად საქართველოა!

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ქეთინო ვიტალის ასულ გოგოხიძეს
ბესიკ ოთარის ძე ყურაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ სიხარულს გემრავლებინოთ ქართველი ერი.

ცაგერის სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები.

მსოფლიოს ქალაქებში სეული

რას წარმოადგენს სეული დღეს? უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, ეს არის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი. იგი გადაჭიმულია 605 კვადრატულ კილომეტრზე, სადაც 10,72 მილიონი კაცი ცხოვრობს. გარდა ამისა, იქ ყოველდღიურად ჩამოდის 2,5 მილიონი ადამიანი ვინ სამუშაოზე, ვინ სწავლისათვის ან ისე უბრალოდ, დასტოვებს კი მხოლოდ ორმილიონზე ცოტა მეტი.

ეროვნული ეკონომიკის განვითარებასთან ერთად სწრაფად იზრდება სეულის სატრანსპორტო პარკიც. თუ 1945 წელს ქალაქში სულ 4,5 ათასი მანქანა ითვლებოდა, ამჟამად მის ქუჩებში უკვე 1,1 მილიონი მანქანა დადის და მათი რაოდენობა თანდათან უფრო იზრდება—ყოველდღიურად იქ 582 მანქანით მეტი გამოდის.

სეული დღეში იყენებს 23,6 კილოლიტრ ნავთს და 3,5 ტონა ბრინჯს ჭამს. დღე-ღამის შემდეგ ქალაქის სანაგვეზე დამატებით 29 ტონა ნაგავი გროვდება.

მაგრამ სამხრეთ კორეის დედაქალაქში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა დიდ ქალაქებში, ცხოვრება თავისი კალაპოტით მიედინება. ყოველდღიურად სეულში იბადება 455 ჩვილი და 100 ადამიანი ამთავრებს სიცოცხლეს. 219 წყვილი ბედნიერდება, ხოლო 26 ოჯახი ინგრევა.

ხოლო რაც შეეხება დანაშაულობასა და შემთხვევებს, ყოველ 24 საათში სამხრეთ კორეის დედაქალაქში რეგისტრირებულია 884 კანონის დარღვევა და 12 ხანძარი.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ეთერ გვიშიანს ბიძის

დავით ალექსანდრეს ძე ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები რუბენ ბაქრაძე, გურამ, როსტომ, ჟორა, ბადრი შკუბულიანები, ბორის კაკრიაშვილი, ვალიკო, ჯუმბერ, ბიჭიკო კოპალიანები, კარლო სალინაძე, ვალოდია ბუაძე, ელგუჯა ლეთოდიანი, ჟორა სილაგაძე, მურთაზ ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვენედი ალიოშას ძე თვარაძე.

კომუნალურ საწარმოთა კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გივი სალინაძეს ბიძის

რადიონ კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

შარლენ, გელა ნოეს ძე კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რადიონ სპირიდონის ძე კოპალიანი.

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დალი და ნინო თვარაძეებს მეუღლისა და მამის

ვენედი თვარაძის

გარდაცვალების გამო.

ორბელის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მთვარისა მახარობლიძეს სიძის

ბორის გიორბელიძის

გარდაცვალების გამო.

კობა, გელა, ნოდარ, დათა, თემურ, ბუჭუ, თენგული, მურთაზ, ალბერტი, გრიშა, ვაჟა კოპალიანები, ლერი, სოზარი იმნაძეები, გრიშა ლეთოდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რადიონ სპირიდონის ძე კოპალიანი.

ჯობო ბაკურაძე, ზურაბ, მამია დაშნიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ მერაბ სვანიძეს სიმამრის

ვენედი თვარაძის

გარდაცვალების გამო.

ელდარ, ემზარ, დავით, სერგო გუგავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვენედი ალიოშას ძე თვარაძე.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის 1978 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ლუნა ქარსელაძე თანაუგრძნობენ მანანა თვარაძეს მამის

ვენედი თვარაძის

გარდაცვალების გამო.

თემურ გურგუჩიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

დავით ალექსანდრეს ძე ბურჯალიანი

ვლადიმერ დავითულიანი, შურა შკუბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვენედი თვარაძე

ემული თვარაძე, ინგელ კეკუტია, ზაურ კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვენედი ალიოშას ძე თვარაძე.

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ია ახვლედიანს ბიძის

ელგუჯა ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

ბესიკ, თემურ, თენგიზ კოპალიანები, რეზო სალინაძე, მევლუდ ჩაკვეტაძე თანაუგრძნობენ შოთა და შამილ კოპალიანებს მამის

რადიონ კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ბარდნალის საშუალო სკოლის 1977 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ნაზი სილაგაძე თანაუგრძნობენ შამილ კოპალიანს მამის

რადიონ კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ბიჭიკო, გივი ქარსელაძეები, რაფიელ კოპალიანი, ჯემალ ქვარიანი, თემურ ყურაშვილი, გოჩა თევდორაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვენედი თვარაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორის მოადგილე
მ. ძნელაძე.

ტვიშის სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის აპარატის მუშაკები თანაუგრძნობენ შოთა გოდოლაძეს ბიძაშვილის

ზინა ვლასის ასული გოდოლაძის

გარდაცვალების გამო.

საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მამუკა, სოსო თვარაძეებს მამისა და ბიძის

ვენედი თვარაძის

გარდაცვალების გამო.

ნოდარ გვიშიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

დავით ალექსანდრეს ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ჟორა სალინაძე, დავით ზურაბიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვენედი თვარაძე

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-21, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3/, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-26, მშრომელთა წერილების განყოფილების—28-41 საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-22, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.